ფეხბურთი 4:0

ლოზანა, 3 ოქტომბერი. შვეიცარიაში სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამომ“ მესამე, დასკვნითი მატჩი გამართა. ამჯერად ქართველი ფეხბურთელების მეტოქე იყო შვეიცარიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ–ერთი ლიდერი „ლოზანა“. თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, თამაშის I ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ „დინამო“ მთელი ძალით ათამაშდა და 55–ე წამზე გ. ნოდიას ძლიერად დარტყმული ბურთი მასპინძლების კარში გავიდა. ზუსტად 5 წუთის შემდეგ მეტრეველმა ანგარიში 2–მდე გაზარდა. ამის შემდეგ მინდვრის ბატონ–პატრონი დინამოელები გახდნენ. ჯერ ბ. სიჭინავამ, ხოლო შემდეგ მესხმა საბოლოოდ განამტკიცეს თბილისელთა გამარჯვება – 4:0.

„დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, კანთელაძე, რეხვიაშვილი (შერგელაშვილი), პეტრიაშვილი, ასათიანი, დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“ლელო” 5.X.67 წ.